



gazeTi gamodis
1931 wl is 5 ianvridan

კ ლ ი რ ნ ი

ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ რ ი ე - პ ო ლ ი ტ ი კ უ რ ი გ ა ზ ე თ ი

ყოველკვირეული გამოშვება
ფასი 20 თეთრი

ბაიბრლება თუ არა ღვეუბათა რაოდენობა პარლამენტში?

მარი კომპოვი



11 ნოემბერს პარლამენტმა საყოველთაო სახალხო განხილვისთვის გამოაქვეყნა კონსტიტუციური განცხადება-სამართლებლო კონსტიტუციაში ცვლილებების შემადგენელი ნაწილის თაობაზე, რომელიც ითვალისწინებს სამართლებლო პარლამენტის ფუნქციონირების გაზრდას 150-დან 190 დეპუტატამდე.

გასული კვირის ოთხშაბათს კანონ-პროექტი ოზურგეთში, არასამთავრობო ორგანიზაცია, პედაგოგთა კავშირის დარბაზში თავად ავტორებმა, პარლამენტის წევრებმა, ექსპერტებმა, მასმედიის, არასამთავრობო

ორგანიზაციების წარმომადგენლებმა და სხვა დაინტერესებულმა პირებმა განიხილეს.

შეხვედრაზე განხილული იქნა პარლამენტის წევრთა რაოდენობის ცვლილებების განმაპირობებელი ფაქტორები და გარემოებები.

კანონპროექტის ავტორებმა აღნიშნული ცვლილებების ინიცირების მთავარ მიზეზად დაასახლეს პარტიათა შორის გაფორმებული შეთანხმება, რომელიც ამბობს, რომ პოლიტიკური შეთანხმება და საარჩევნო სისტემაში დაგეგმილი რეფორმები დღის წესრიგში აყენებს პარლამენტში ამომრჩეველთა წარმომადგენლობის ახალი სისტემის შემოღების აუცილებლობას, რაც დაკავშირებულია პარლამენტის წევრთა რაოდენობის გაზრდასთან.

შეხვედრის მთავარი კითხვა იყო, არის თუ არა მიზანშეწონილი საკითხის გადაწყვეტა რეფერენდუმის გვერდის ავლით მაშინ, როცა 2003 წელს გამართული რეფერენდუმის კითხვაზე, თანახმა ხართ თუ არა, რომ საქართველოს პარლამენტის წევრთა რაოდენობა შემცირდეს და განისაზღვროს არა უმეტეს 150 დეპუტატით, დადებითი პასუხი კენჭისყრაში მონაწილეთა 83,5%-მა გასცა.

შეხვედრა ორგანიზებული იყო სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების, ნიდერლანდების სამეფოს საელჩოსა და საერთაშორისო საქმეთა ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტის მიერ.

ოზურგეთში ხანდაზმულთა სახლი ბაიბრლება

მარი კომპოვი



ხანდაზმულთა სახლის შექმნის მიზანი მათი სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებაა. სახლი სრული დატვირთვით სავარაუდოდ იანვრის თვეში დაიწყებს ფუნქციონირებას და უზრუნველყოფს 26 ბენეფიციარის სადღეღამისო ცხოვრებას და დამატებით 20 ადამიანის მხოლოდ დღის მომსახურებას.

სერვისი გულისხმობს სამკერად კვებას, სამედიცინო მომსახურებას და კომპიუტერულ საცხოვრებელ პირობებს, რადგან შენობა არის კაპიტალურად გარემონტებული და თანამედროვე ინვენტარით აღჭურვილი.

არ იქნება შეზღუდვები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ადამიანებისთვისაც, რადგან მათ პანდუსებით სავსეობის საშუალება ექნებათ.

თანხების არასაკმარისობის გამო, სახლში ვერჯერობით მოსაგვარებელია გაზიფიცირების პრობლემა, გასაკეთებელია სპორტულ-გამაჯანსაღებელი ოთახიც.

სათნობის სახლს აქვს სასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთი, რომელსაც მოხუცები სურვილის შემთხვევაში დაამუშავებენ.

მოხუცთა სახლში ბენეფიციარებს ათი თანამშრომელი მოემსახურება.

განხნის სახეიმი ცერემონიაზე იანვრის ელჩი

სიტყვით გამოვიდა „ჩემთვის დიდი პატივია, მივიღო მონაწილეობა ამ კარგ საქმეში იაპონელი ხალხის სახელით და გულთბილი მადლობა გამოვხატო იმ სოლიდარობისთვის, რაც იაპონიის ტრაგედიის შემდეგ თქვენგან მივიღეთ. რვა თვე გავიდა მიწისძვრის შემდეგ და ჩვენ კვლავ ვიღებთ თანაგრძნობის გამოხატვებს წერილებს ქართველი ხალხისა და ხელისუფლებისაგან. ეს ნიშნავს, რომ ჩვენი ხალხები არიან გაერთიანებული საერთო სულისკვეთებით. მადლობა მათ, ვინც ამ პროექტში იყო ჩართული, მათი ძალისხმევით, წარმატებით დასრულდა. ჩვენ ოზურგეთში სამი პროექტი დავაფინანსეთ ერთი მათგანი შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრმა განახორციელა, ხოლო ორი პედაგოგთა კავშირმა. ვიმედოვნებ, რომ ჩვენ კიდევ შევძლებთ თანამშრომლობას მათთან. იაპონელმა ხალხმა გადმორიცხა რესურსები და კარგი იქნება თუ გემსსოვრებათ, რომ ეს იყო კეთილი ნება იაპონელი ხალხის და გამოიყენებთ მას" - თქვა მასაიოსი კამოჰარამ.


მზარის გუბერატორმა, ვალერი ჩიტაიშვილმა კმაყოფილება გამოთქვა ხანდაზმულთა სახლის გახსნის გამო და აღნიშნა, რომ ადგილობრივი თვითმმართველობა გამოყოფს გარკვეულ თანხას და მომავალში იქნება სათნობის სახლის თანადაფინანსებელი.

პარლამენტის დეპუტატმა, გონა შანიძემ მადლობა გადაუხადა ელჩს თანადგომისთვის.

„ჩვენ მზად ვართ განვახორციელოთ ბევრი პროექტი თქვენთან დახმარებით" - უთხრა სტუმარს გონა შანიძემ.

სათნობის სახლი არასამთავრობო ორგანიზაცია „ახალგაზრდა პედაგოგთა კავშირმა“ იაპონიის მთავრობის ფინანსური მხარდაჭერით დააარსა. მისი გაკეთების იდეა ერთი წლის წინ დაიბადა. პროექტის ბიუჯეტი 99725 ა.შ.შ. დოლარია.

საზოგადოებრივმა დარბაზმა მოამზავა წლის ბიუჯეტი ბანიხილა



ტად ინფრასტრუქტურის მშენებლობა, საგანმანათლებლო, კულტურულ-სპორტული ღონისძიებების მოწყობა, სოციალური და ჯანდაცვის სფერო დასახვლდა.

საუბარი იყო მშობიარეთა დაფინანსების პროგრამაზეც. თუ აქამდე მშობიარობის თანხის მხოლოდ 20%-ი ხდებდა მუნიციპალიტეტი, მომავალი წლიდან უკვე 50% გადაიხდის.

აღინიშნა, რომ მიწის ნაკვეთი გამოიყოფა სოფლის მეურნეობის აიპისათვის, სადაც გათვალისწინებულია მცირე საწარმე მერნეობის მოწყობა და სხვადასხვა ჯიშის კულტურის გაშენება.

გასულ კვირას, საზოგადოებრივი დარბაზი კიდევ ერთხელ შეიკრიბა. შეხვედრაზე 2012 წლის ბიუჯეტი განიხილეს.

პროექტის მიხედვით, მომავალი წლის ბიუჯეტის გაწერისას პრიორიტე-

ოზურგეთში ახალგაზრდა მრავალპროექტში გაიმარჯვა

ნუზგარ ოთარიშვილი



მომდგენლები მონაწილეობდნენ, აჭარისა და გურიის წარმომადგენლებსაც გაიმარჯვეს.

გურიანთელი ვახტანგ გულბანი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის უცხო ენების სპეციალობის (ესპანური) კურსდამთავრებულია. ვახტანგი ინგლისურსაც კარგად ფლობს და ერას კონკურსში მიიღო მონაწილეობა. იგი ესპანეთში, კატალონიის დედაქალაქ ბარსელონაში სწავლების ოთხთვიან კურსს გაივლის ტურიზმის მენეჯმენტში.

როგორც იცით, გურია ამ სამი წლის წინ ევროპის რეგიონული ანსამბლეს წევრი გახდა. ეს ორგანიზაცია მის რეგიონებს სხვადასხვა პროექტში მონაწილეობის საშუალებას აძლევს.

ახლახან ერას მიერ გამოცხადებულ კონკურსში „ევროიდეისეა“ რომელშიც ევროპის წამყვანი სახელმწიფოების წარ-

მენეჯმენტში. ვახტანგ გულბანს გურიის გუბერნატორი ვალერი ჩიტაიშვილი შეხვდა და ერას პროექტში გამარჯვება მიულოცა. თავად ვახტანგმა მადლობა გადაუხადა გურიის გუბერნატორს თანადგომისათვის.

სამართლებლო ციფრულ მაუწყებლობაზე გადადის...

მსოფლიოს მრავალი ქვეყანა ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდა. ეს პროცესი უკვე დასრულდა ევროპის წამყვან ქვეყნებში. სამართლებლო ადვოკატი აშშ-ს სამართალმცოდნეობის კვლევა, 2015 წლიდან გახდება ციფრულ მაუწყებლობაზე. ჯერჯერობით ჩვენი საზოგადოება ნაკლებად ინფორმირებულია ამ სივრცის შესახებ. „ინტერნეტში“ ჩვენ ვხვდებით უპრაიმთაიმ სტუმარს, დამოუკიდებელ კონსულტანტს ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლაზე დაბაჟირებით, ბატონ ივან პოლტარს.

ბათონ ივან, საქართველოს

აღებული აქვს საერთაშორისო გამოცდილება, 2015 წლის 16 ივნისიდან ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს. ეს პროცესი უკრაინაში მიმდინარეობს.

როგორია ახალ მაუწყებლობაზე გადასვლის საერთაშორისო გამოცდილება.

„უკრაინაში ციფრულ მაუწყებლობაზე გადასვლის პროცესი ერთი წლის წინ დაიწყო და ბოლო ექვს თვეში გააქტიურდა. მანამდე არ იყო მუდმივი გეგმა, არ იყო ჩამოყალიბებული გადასვლის სტრატეგია

და იგი იცვლებოდა. ახლა კი, ციფრული მაუწყებლობა ფაქტიურად დაიწყო, მაგრამ დაიწყო გარკვეული კონფლიქტები ცალკეულ ტელეკომპანიებს შორის, რომლებსაც უნდოდათ ახალი მაუწყებლობის პაკეტი მომზადარევენ და ვერ მოხდენენ, განსაკუთრებით ეს ადგილობრივ მაუწყებლებს შეეხებოდა. მათი პრობლემა ის არის, რომ ბევრ ადგილობრივ ტელეკომპანიას არ აქვს ფული, გადაიხადოს პაკეტი მოსახვედრად, ზოგს კი ჰქონდა ფული, მაგრამ

„ჩემი ქვეყანა არის ჩემი სახლი“

ზურბის „თავისუფალი დემოკრატიის“ ლიდერმა თემურ სალუქვაძემ ოცურბათელ შურნალისტებთან ბრიფინგი გამართა.



მისასალმებელია, მაგრამ იმ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ჩვენს რაიონს უკუევექტს არ მოუტანს. ოუსტიციის სახლის მშენებლობის შემთხვევაში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დარღვეულია ყოველგვარი არქიტექტურული ეთიკა. აღნიშნულმა მშენებლობამ დაარღვია ცენტრალური მოედნის სივრცითი ბალანსი. ვამახვილებ ყურადღებას გადაწყვეტილების მიღების პროცედურაზე. ყოველგვარი შერჩევითობის გარეშე და რაიონის ინტერესის გათვალისწინებლად შესთავაზეს აღნიშნული ტერიტორია და მშენებლობაც დაიკვამა.

ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატიის“ მიმართავეთ, საზოგადოების თითოეულ წევრს და გვინდა აღვნიშნოთ, რომ დღეს საქართველოში გაჩნდა რეალური ალტერნატივა: — ყველა ადამიანს ეძლევა შესაძლებლობა მიიღოს მონაწილეობა და საფუძველი ჩაუყაროს ახალი ეპოქის დაწყებას საქართველოში, ეპოქა, რომელიც თითოეულ ჩვენთაგანს მოგვცემს სამუშაოებს, ღირსეული ადგილი და ვიკავოთ ჩვენი ქვეყნის მშენებლობაში, გაგზარდოთ თითოეული ადამიანის თავისუფლების ხარისხი, შევქმნათ ღირსეული და სამუშაო ადგილები, სწორი მიმართულებით განვავითაროთ ჩვენი ქვეყანა, დაგვარუნოთ ჩვენი მოქალაქეები საკუთარ ოჯახებში და საბოლოოდ ჩვენმა ქვეყანამ რეალურად დაიმკვიდროს ადგილი მსოფლიო დემოკრატიულ სამყაროში.

ეს ყველაფერი თითოეულ ჩვენთაგანზეა დამოკიდებული. მივმართავ ყველას, ღრმად ჩაუფიქრდეს და გააკეთოს სწორი არჩევანი. ჩვენ უნდა დავამთავროდ უკანსვლა და გავიხედოთ წინ. გავხედოთ თანამონაწილე იმ შეუქცევადი პროცესისა, რაც ჰაერივით სჭირდება ჩვენს ქვეყანას.

პოლიტიკური პარტიის ამოცანაც ის არის, რომ საზოგადოებას სწორად დაანახოს პერსპექტივები. ჩვენ „თავისუფალი დემოკრატები“, მზად ვართ საზოგადოების თითოეულ წევრს ვუპასუხოთ ყველა შეკითხვაზე და მივცეთ სწორი განმარტებები საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე, რადგანაც ხელისუფლება თავისი მართლმადიდებელი საშუალებებით ცდილობს მოსახლეობა შეიფანოს შეცდომაში. საქართველოს მოსახლეობას დამახინჯებული ინფორმაციები მიაწოდეს ბიძინა ივანიშვილის განცხადებებთან დაკავშირებით, რომლებიც ევროატლანტიკურ სივრცესთან ურთიერთობებს შეეხებოდა. ივანიშვილმა თავისი დადებითი პოზიცია დააფიქსირა როგორც ნატოსთან, ისე ევროკავშირთან ინტეგრაციისათვის და ასევე მეზობელ სახელმწიფოებთან ურთიერთობებზე. მისი პოზიცია ხელისუფლებაში მოსვლის გზებზე უცვლელია-მხოლოდ არჩევნების გზით.

მიგვაჩნია, ადამიანებს, რომლებიც პატიოსნად ემსახურებიან ჩვენს ქვეყანას, ახალი ხელისუფლების მოსვლისას, უნდა მივცეთ საშუალება, თავისი ნიჭი და უნარი მიახმარონ ქვეყნის კეთილდღეობას.

ამის გარდა გვსურს, თქვენი ყურადღება გავამახვილოთ რამდენიმე პრობლემატურ საკითხზე:

1. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატიები“ კიდევ ერთხელ ვუბრუნდებით ჩვენი ქალაქის თემას, რომელიც ძალზედ მტკივნეულია ჩვენთვის. კონკრეტულად კი ოუსტიციის სახლის მშენებლობას. რა თქმა უნდა, ყოველი ახალი მშენებლობა

მისასალმებელია, მაგრამ იმ ყველა ფაქტორის გათვალისწინებით, რაც ჩვენს რაიონს უკუევექტს არ მოუტანს. ოუსტიციის სახლის მშენებლობის შემთხვევაში ცალსახად შეიძლება ითქვას, რომ დარღვეულია ყოველგვარი არქიტექტურული ეთიკა. აღნიშნულმა მშენებლობამ დაარღვია ცენტრალური მოედნის სივრცითი ბალანსი. ვამახვილებ ყურადღებას გადაწყვეტილების მიღების პროცედურაზე. ყოველგვარი შერჩევითობის გარეშე და რაიონის ინტერესის გათვალისწინებლად შესთავაზეს აღნიშნული ტერიტორია და მშენებლობაც დაიკვამა. ამით ჩვენ იმის თქმა გვსურს, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ გამოდის ჩვენი რაიონის ინტერესებიდან. მათთვის კი ვინც აწარმოებს აღნიშნულ მშენებლობას დაირღვევა თუ არ დაირღვევა რაიმე არქიტექტურული თვალსაზრისით, დიდ თავის ტკივილს არ წარმოადგენს. შეიძლება ძალზედ ადვილად მოგვეტანა ისეთი ადგილი ჩვენს ქალაქში, რომ აღნიშნულ ნაგებობას არავითარი ზიანი არ მიეყენებინა და პირიქით, ერთ-ერთი თვალსაზრისით, გამაღამაზებელი ნაგებობა ყოფილიყო ჩვენი რაიონისათვის. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ადგილობრივი ხელისუფლება არ იჩენს პრინციპულ პოზიციას და ვერ გამოდის ჩვენი რაიონის თუ ქალაქის ინტერესებიდან. ისინი მხოლოდ გვეკვლინებიან, ზემოდან მიღებული ყველა მითითების ბრმა შემსრულებლებად.

2. როგორც იცით, საზოგადოებაში გავრცელდა ინფორმაცია, ოსურგეთის №2 საჯარო სკოლაში ყალბი ატესტატების გაცემის ფაქტზე. რა თქმა უნდა კანონის წინაშე ყველა დამნაშავე უნდა აგოს პასუხი, მაგრამ 9 წლის შემდეგ ამ ფაქტის გამოვლენას ახალ პოლიტიკურ რეალობაში შესაძლებელია სულ სხვა დატვირთვა ჰქონდეს. მართლდება „თავისუფალი დემოკრატების“ პროგნოზი, იმასთან მიმართებაში რომ ნაციონალური მოძრაობა იწყებს თავის აქტივისტებზე ზეგავლენის გაძლიერებას. ჩვენის აზრით, ამ პროცესს შესწირავენ თავისივე გარკვეულ მაღალ ჩინოსანს თუ ჩინოსნებს და ამით გააძლიერებენ შიშის ფაქტორს სისტემაში. ამასთან ერთად ეცდებიან, საზოგადოებას დაანახონ, თუ როგორ ებრძვიან კორუფციას თუნდაც თავისი პარტიის რიგებში. ეს რა თქმა უნდა მხოლოდ და მხოლოდ პიარის ელემენტებს ატარებს. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ ვამბობდით და დღესაც ვაცხადებთ, განათლების სისტემა ეს ის სფეროა, რომელსაც სამწუხაროდ ნაციონალური მოძრაობა ბოროტად იყენებს თავისი ამოცანების განსახორციელებლად. სხვა შემთხვევაში ამინებს მას ყოველგვარი სხვადასხვა მეთოდით (იგულისხმება: სამსახურიდან განთავისუფლება, საათების შემცირება და ა. შ.). დეგაბა დრო ჩვენს ქვეყანაში, რომ ყველაფერს თავისი სახელი დაერქვას.

ამიტომაც ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ კიდევ ერთხელ ვადასტურებთ ღრმა პარტიისცემას ჩვენი პედაგოგების მიმართ და გამოვთქვამთ იმედს, რომ მიმდინარე პროცესში, გამოიჩინენ მაღალ სახელმწიფოებრივ შეგნებას და თავიანთ დადებით წვლილს შეიტანენ ქართული ოცნების ახდენაში.

3. მინდა აღვნიშნო და დავაფიქსირო

ჩვენი, „თავისუფალი დემოკრატების“ პოზიცია ახალ საავადმყოფოსთან დაკავშირებით. ვფიქრობთ, აღნიშნული კლინიკა მართლაც ძალიან მაღალი ხარისხისაა, როგორც სამშენებლო თვალსაზრისით, ასევე თანამედროვე სამედიცინო ტექნოლოგიებით აღჭურვილია. ამისთვის ჩვენ მადლობაც კი გვეთქმის კომპანიისადმი. თუმცა მიუხედავად ამისა, იკვეთება რიგი პრობლემები, რაზეც არ ძალგვიძს თვალის დასუჭვა. ჩვენს ხელთ არსებული ინფორმაციით, სამწუხაროდ, იკვეთება გარკვეული პრობლემები, რაც გამოიხატება საავადმყოფოს ხელმძღვანელობის მხრიდან მედიკოსონალის მიმართ ხისტ დამოკიდებულებაში. ასევე არ არის დაპირებისამებრ გაფორმებული ხელშეკრულებები. გვინდა მივმართოთ აღნიშნული კლინიკის ხელმძღვანელობას და ვუთხრაოთ, რომ ოსურგეთის სამედიცინო სფერო გამოირჩევა თავისი მაღალ პროფესიული კადრებით. მათი პროფესიონალიზმი და დიდი გამოცდილება მთითხოვს მათადმი ღირსეულ დამოკიდებულებას.

აქვე მაგალითისთვის მინდა ვთქვა, რაც ყველასთვის არაოფიციალურად ცნობილია, რომ ზოგიერთმა მაღალჩინოსანმა თუ როგორი უხეიო, უტაქტო და არაკომუნიკაბელი დამოკიდებულება დაამკვიდრა გურიის ხელისუფლების მაღალჩინოსანთა მიმართ.

4. მიმდინარეობს 2012 წლის ბიუჯეტის განხილვა საკრებულოში. თქვენ ალბათ კარგად გახსოვთ შარშანდელი ბიუჯეტი და მასთან დაკავშირებით ყველა ის დავა თუ განხილვა, რომელიც ჩვენი გუნდის მიერ იქნა წარმოებული. დღეს ნათლად გამოჩნდა, რომ ჩვენ ვიყავით მართლები. 2011 წლის ბიუჯეტმა ცხოვრება ვერ შეუძლურებდა ჩვენს მოსახლეობას და ვერცერთ სფეროში რაიმე წინგადადგმული ნაბიჯი ვერ დაგვანახა. დღეს კი, სამწუხაროდ, შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ ახალი ბიუჯეტის პროექტი არ იქნება მოსახლეობის პრობლემათკაზე ორიენტირებული. ამჟამად, მიმდინარეობს გაცნობა და მუშაობა 2012 წლის ბიუჯეტის პროექტზე. ჩვენ, „თავისუფალი დემოკრატები“ კვლავ აქტიურად ვართ ჩართული აღნიშნულ პროცესში და ცოტა ხანში წარვადგენთ ჩვენს მოსაზრებებს 2012 წლის ბიუჯეტთან დაკავშირებით.

* * *
თემურ სალუქვაძემ უპასუხა გაზეთ „ალიონის“ შეკითხვას, რესპუბლიკური პარტიის და „თავისუფალი დემოკრატების“ ლიდერებთან ბიძინა ივანიშვილის შესხვედრასთან დაკავშირებით.

მან აღნიშნა, რომ ივანიშვილთან შესხვედრა, გაცნობითი ხასიათის იყო. მას რესპუბლიკური პარტიის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი, „თავისუფალი დემოკრატების“ თავმჯდომარე ირაკლი ალასანია და ამ პარტიების აქტივი ესწრებოდა. შესხვედრაზე გამოიკვეთა სამომავლო გეგმები, რაშიც იქ დამსწრე პარტიების ლიდერებმა და საერთოდ ყველა რესპუბლიკელმა და „თავისუფალმა დემოკრატმა“ ერთობლივად უნდა იბრძოლოს არჩევნების გზით ხელისუფლებაში მოსვლისათვის. ბიძინა ივანიშვილს ვერ თავისი ორგანიზაცია არ დაუფუძნებია, რაც უახლოეს ხანში მოხდება.

— პარტიები მიდიან და მოდიან, მთავარია ახალი პოლიტიკური კულტურა დავამკვიდროთ—, ჩემი ქვეყანა არის ჩემი სახლი.“ — თქვა სალუქვაძემ.

3 დეკემბერი უზღულული უსაძლებლობების მქონე პირთა სამართაშორისო ღვა

მარი კობახიძე



თარიღს ყოველწლიურად ენშაურებიან ოსურგეთის შეზღულული შესაძლებლობების მქონე პირთა სარეაბილიტაციო ცენტრში. წელსაც ასე მოხდა. „კუთვნილი“ დღე ლამაზი, მაგრამ სევდანარევი ღონისძიებით აღნიშნეს. კიდევ ერთხელ შეასწავნეს საზოგადოებას „ჩვენ შეცოდება კი არა, თანადგომა გვეჭირდება“ მათეული სითბოთი სავესე სიმღერები და ლექსები სტუმრებს ჩვეული ოსტატობით აჩვენეს. მადლობა გადაუხადეს ყველას, ვინც ასოციაციას რაიმე ნაირად ეხმარება და გვერდში უდგას. მათ შორის გამოირჩეული მადლობა ბეგა სიორიძეს უთხრეს იმისთვის, რომ ოსურგეთელ ბიზნესმენს არასოდეს ავიწყდება მეზობლები, რომლებსაც თითოეული ჩვენგანის მხარდაჭერა ასე სჭირდებათ. ბიზნესმენი აღნიშნულ დღესაც მათთან ერთად იყო და კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ მომავალში ასე გაგრძელდება, მათი არა მარტო მეზობელი, მეგობარი და მხარის დამჭერიც იქნება. სტუმრებს გულითადად უმასპინძლეს. მათ შორის მინისტრ, რამაზ ნიკოლაიშვილსაც, რომელსაც მათთან ურთიერთობა კარგა ხანია აქვს, შეიძლება ითქვას ოჯახთან ერთად, რადგან მისი შვილი, გურამიც ბავშვების მეგობარია. მინისტრმა შინაურულად მოიკითხა ყველა. „მე დღეს იქ ვარ სადაც უნდა ვიყო“ — თქვა და ბავშვებს მომავალ შესხვედრამდე დაემშვიდობა.

ქალთა მხარდაჭერი გზების ძიებაში

ინო ნიკოლაიშვილი




შესხვედრა, რომელიც ფონდ „სოხუმის“ ოსურგეთის ქალთა კლუბის წევრებმა გამართეს, რამდენიმე საკითხის განხილვას მიეძღვნა. მათ შორის, რა არის საჭირო ქალთა მეტი აქტიურობისათვის, რათა მათ მეტად მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა. კლუბის წევრმა, ქეთევან ქაღიშვილმა დასვა საკითხი, იქნებ უკეთესი იყოს კონკრეტულად გვასწავლონ გზები, რომელიც ჩვენთვის მისაღები კანდიდატი ქალის მხარდაჭერისკენ იქნება მიმართული, რადგან არის ბევრი სამართლებრივი პროცესი, რომელსაც სშირად მოვყავართ წინააღმდეგობაში.

„სილქნების“ კაბელი კვლავ მოიპარეს

შარშან, ზამთარში, ქ. ოსურგეთში, მდ. ბუჯის ხიდის მიმდებარე ტერიტორიაზე ორჯერ მოიპარეს „სილქნების“ კაბელი, რის გამო თითქმის ორი თვე შეუწყდა სატელეფონო კავშირი და ინტერნეტმომსახურება ასეულობით აბინეტს. 26 ნოემბერს, 02 საათზე მდინარე ბუჯის ხიდის მიმდებარე, კვლავ გადაჭრეს კაბელი. მართალია საპატრულო პოლიციამ დროულად მიიღო შეტყობინება, მაგრამ ქურდებმა მიმალვა შეძლეს. ერთ კვირაზე მეტია 300-ზე მეტ აბინეტს არ აქვს სატელეფონო და ინტერნეტმომსახურება. კომპანია „სილქნეტს“ უამინდობის გამო გაუჭირდა აღდგენითი სამუშაოების შესრულება. მომხდარზე მიმდინარეობს გამოძიება.


ოზურგეთის სცენას დაუბრუნდნენ

ნინო ნიკოლაიშვილი



ხელნე გავრეულ მდინარადის გამოჩენას. ოზურგეთელმა მსახიობებმა შესძლეს იმ სახეების განმეორებით შექმნა, რომლებიც თეატრისა და კინოს ნამდვილმა ვარსკვლავებმა შექმნეს და მაყურებელთა გულშიც დაიდეს ბინა. ეს არ იყო მხოლოდ სპექტაკლი, ეს გახლდათ თეატრალური წარმოდგენა სხვადასხვა დროსა და სივრცეში. სცენოგრაფიით, პლასტიკით, მუსიკალურ-ქორეოგრაფიული ფონით, მასიური სცენებით, სამსახიობო შესრულებით რეჟისორმა შესძლო ეჩვენებინა არა მხოლოდ საზოგადოების შეილება, არამედ, ეპოქა და თავად საზოგადოება, მათი ერთობლიობა. ამ სპექტაკლის ჩვენება ლიტვაში გაიმართა და იგი საუკეთესო სპექტაკლად აღიარეს. ალტაცებს ვერ მაღადა ამირან ქაღვიშვილი. 22 წელი მშობლიური სცენის და საერთოდ სცენის

ოზურგეთის სცენას ნოდარ ღუმბაძის პერსონაჟები დაუბრუნდნენ. „მე, ბებია, ილიკო და ილარიონის“ მიხედვით შექმნილი სპექტაკლის პრემიერა „გამარჯობათ ხალხო!“ სრული ანშლაგით წარიმართა. სპექტაკლის რეჟისორი ვასილ ჩიგოვიძე გახლდათ, რომელიც 16 წლის შემდეგ დაუბრუნდა მშობლიური თეატრის სცენას. მაყურებლისთვის სიურპრიზი გახდა ცნობილი მსახიობის ამირან ქაღვიშვილის დაბრუნებაც. ასევე ოვაციებით შე-



გარეშე ადვილი არ ყოფილა. აქ კიდევ უფრო აშკარა გახდა მონატრება სცენისა და მაყურებლის, და მაყურებელთა მხრიდან საყვარელი მსახიობის მიმართ. საინტერესო იყო გაბრიელ მდინარადის ილიკოც, რომელიც ასევე წლების შემდეგ გააცოცხლა მსახიობმა. აქვე შედგა შემოქმედის საჯარო სკოლის X კლასის მოსწავლის ქეთევან ცეცხლაძის დებიუტი. მან მერის როლი შეასრულა. სპექტაკლს ესწრებოდა ლიტვა-საქართველოს მეგობრობის ცენტრის თავმჯდომარე მარიანა სლენინე, რომელმაც თავისი პატივისცემა ყვავილებითა და ოვაციებით კიდევ ერთხელ დაუდასტურა მსახიობებს, მაყურებელს. მასალას სპექტაკლის შეფასების, რეჟისორის, მსახიობების დამოკიდებულების შესახებ, შემდეგ ნომერში შემოგთავაზებთ.

„გურულები მარტო სიმღერაში კი არა სპორტშიც მებრები არიან“



გამოვლენა მომდევნო წლებშიც მოხდება და მათი დაჯილდოება ტრადიციულ სახეს მიიღებს. სპორტსმენების დაჯილდოებას ადგილობრივი ხელისუფლება სრული შემადგენლობით ესწრებოდა. მთავარი სტუმარი კი ოზურგეთში სტუმრად მყოფი რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრი, რამაზ ნიკოლაიშვილი იყო. მან სპორტსმენებისა და დარბაზში მყოფი მაყურებლების ნამდვილ პიმნსაც შეუწყო ხმა, არც ქება დაიშურა ოზურგეთელი სპორტსმენებისათვის. „გურულები მარტო სიმღერაში კი არ არიან მებრები, სპორტშიც წარმატებულები არიან“ – აღნიშნა სტუმრად მყოფმა მინისტრმა.

ოზურგეთში წარმატებული სპორტსმენები და მწვრთნელები დაჯილდოეს. დაჯილდოების არცთუ მოკრძალებული ცერემონია ოზურგეთის სპორტის განვითარების ცენტრში, გასული კვირის პარასკევს გაიმართა. საკეთესო შედეგების მქონე სპორტსმენებსა და მწვრთნელებს დიპლომები და ფასიანი საჩუქრები, ტელეფონები და ტელევიზორები გადაეცათ. დაჯილდოებულთა შორის მოხვდა ოზურგეთში არსებული სპორტის სახეობებიდან ერთი წარმომადგენელი მაინც. სპორტსმენების დაჯილდოება მუნიციპალიტეტის ორგანიზებით მოეწყო. ისინი ამბობენ, რომ წარმატებული სპორტსმენების



თამუნა შავაძის ჩვენი დახმარება სჭირდება



მთისპირელი თამუნა შავაძის მძიმე მდგომარეობა არაერთხელ აღნიშნულა ადგილობრივ და რეგიონალურ მედიასაშუალებებში. იგი ტრავიკული შემთხვევის გამო რამდენიმე წელია პარალიზებულია და საწოლსა მიჯაჭვული. თამუნას დასახმარებლად საქართველოს ბანკში გახსნილია ანგარიში.

ანგარიშის № – GE77BG000000318014700
ბანკის კოდი – bagag22
მიმღები თამუნა შავაძე.

„სასლში მშვიდობიდან – მსოფლიოში მშვიდობაამდე“

ნინო ნიკოლაიშვილი

კულტურულ-ჰუმანიტარული როგორც ვიწრო, ისე გლობალური ფონდ „სოსუმის“ ოზურგეთის ფორმებისაგან დასაცავად. ქალთა კლუბის წევრები შეუერთდნენ საერთაშორისო საინფორმაციო კამპანიას „16 აქტიური დღე ქალთა ძალადობის წინააღმდეგ“, რომლის სლოგანი გახლდათ „სასლში მშვიდობიდან – მსოფლიოში მშვიდობამდე“. მშვიდობიანი აქცია კინოთეატრ „ოზურგეთის“ წინ საღამოს გაიმართა ცისფერი შარვებით, სანთლებით ხელში. კამპანია მიმართული იყო ქალთა ძალადობის

საქართველო ციფრულ რაუფყობაზე გადადის...

უკრაინისათვის გამოყოფილ პაკეტში ადგილი არ ეყოთ. ამ ტელეკომპანიებმა სახელმწიფოს წინააღმდეგ სარჩელი შეიტანეს და ამჟამად სასამართლოებში ამ სარჩელის განხილვა მიმდინარეობს. ამჟამად გადაცემების ძველი სისტემა (ანალოგი) გათიშული არ არის და რაც მთავარია, მოსახლეობის უმეტეს ნაწილს არ აქვს საშუალება ციფრულ მაუწყებლობაზე გადავიდეს.

– ახალ მაუწყებლობაზე გადასვლა ფინანსურ დანახარჯებთანაა დაკავშირებული. როგორ მოეზადა საზოგადოება ამისათვის უკრაინაში და რამდენად დაცული იყო მათი უფლებები?

– უკრაინის ხელისუფლებას არ გამოუყვია სახსრები ახალი ქსელის შესაქმნელად, ეს კერძო ინვესტორმა გააკეთა. სახელმწიფომ აიღო ვალდებულება დარბი და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შეიძინოს „სეტტობოქსები“, იგივე დეკოდერები, რომლებიც უზრუნველყოფენ ციფრული მაუწყებლობის მიღებას. მოსახლეობის ინფორმირება ტელეკომპანიებს დაევალოთ, რომლებმაც ამისათვის სათანადო დრო უნდა გამოყონ. უკრაინის ტელეკომპანიები აწარმოებენ მაუწყებლობას როგორც ანალოგზე, ისე – ციფრულზე. ამჟამად მათ ციფრულ მაუწყებლობისათვის, რადგან მოსახლეობის უმეტესობა ციფრულ გადაცემებს ვერ იღებს, შეღავათები აქვთ გადასახადებში.

– მოსახლეობამ გადასახადი უნდა გადაიხადოს ციფრული მაუწყებლობის მიღებისათვის?

– ჯერ-ჯერობით იქნება მიწისზედა გადაცემების უფასო ციფრული პაკეტი. ამჟამად 32 არხი მაუწყებლობს, საიდანაც 28 ნაციონალური ადა მხოლოდ ოთხია რეგიონალური.

– საქართველოს მაგალითზე უნდა ვითხოვთ, მოსახლეობას, განსაკუთრებით რეგიონებში, შეძენილი აქვთ დაბალხარისხიანი ტელევიზორები. რას ურჩევდით, როგორ უნდა მოიქცნენ ისინი ახალ მაუწყებლობაზე გადასასვლელად?

– ამას იმდენი მნიშვნელობა არ აქვს, თუმა არსებობენ ძვირადღირებული პლანური ტელევიზორები, რომლებსაც ციფრული სიგნალის მიღება შეეძლება. მთავარია, დაბალი ხარისხის ტელევიზორების მფლობელებმა „სეტტობოქსები“ იგივე დეკოდერები შეიძინონ, რაც უკრაინაში არსებული ფასებით 30-დან 100 დოლარამდე ღირს. ჯერ-ჯერობით საქართველოში ზუსტად გარკვეული არ არის, როდის გაითიშება ანალოგი და გადავლენ ციფრულ მაუწყებლობაზე.

– გმადლობთ.

ანსამბლ „გურიას“ კონცერტი



გიორგობას, ოზურგეთის სახელმწიფო თეატრში ოზურგეთის მუნიციპალიტეტის გამგეობასთან არსებული ქართული ფოლკლორული ცეკვის ანსამბლ „გურიას“ (სამხატვრო ხელმძღვანელი ჯუმბერ ღუნდუა, მთ. ქორეოგრაფი კობა ღუნდუა) კონცერტი გაიმართა.

„გურიამ“ 18 ქორეოგრაფიული ნომერი წარუდგინა მაყურებელს. მათ შორის ტრადიციული ცეკვები „ფარცა“, „ხორუმი“, „სამია“ „აჭარული ვანდაგანა“, „აფხაზური“, „ფარიკაობა“, „სვანური“, „მონხეური“, „შეჯიბრი“, „ხანჯლური“, „აბრაგული“, და სხვა.

მიუხედავად ცივი ამინდისა, კონცერტს მაყურებელი არ აკლდა, „გურიამ“ მათი დიდი ოვაციები დაიმსახურა.

ჩოლოქის ბრძოლა

მიუხედავად მცირე ტერიტორიისა, ჭანიეთს მისი გეოგრაფიული მდებარეობის გამო, მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა გურიის ისტორიაში, რადგან მას, საუკუნეების განმავლობაში უხდებოდა ოსმალითა მოსაზღვრეობა, რომელიც მუდამ იმის ცდაში იყო, მილიანად დაეპყრო არა მარტო გურია (დროებით დიდაპროსი კიდეც), არამედ ვზა გაეკაფა უფრო დიდი ტერიტორიების დასაპყრობად. პლაცდარში კი შეეკეთილიდან, თითქმის ჩოლოქის სათავემდე იყო და მათ შორის, ცხადია, ჭანიეთი მნიშვნელოვანი პუნქტი იყო საომარი მოქმედებისას.

„1854 წელს საბრძოლო შეტაკება, სწორედ ჩოლოქამდე, ქაქუთის მიდამოებში მოხდა, როცა ერთ-მანეთს ოსმალითა კორპუსი სელიმ-ფაშას ხელმძღვანელობით და ქართველთა და რუსთა ლაშქარი გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრონიკაშვილის სარდლობით, ერთმანეთს დაუპირისპირდნენ. ამ ბრძოლაში ივანე ანდრონიკაშვილის მცირერიცხოვანმა ჯარმა გაიმარჯვა. მოშალა სელიმ-ფაშას კორპუსი და ისევ აღსდგა ამ უბანზე ჩვენი საზღვრების უშიშროება. (გ. დანელია, მაღლაკელიძე, „ბრძოლა ჩოლოქზე“, გაზეთი „სამხედრო“)

ჩოლოქის ბრძოლაში გამარჯვება ქართული სამხედრო ხელოვნების ზეიმი იყო, რომელმაც სამართლიანად მიიპყრო ისტორიკოსთა ყურადღება. ამ თემის საყურადღებო ნაშრომები მიუძღვნეს: აკადემიკოსმა მამია დუბაძემ („გენერალი ივანე ანდრონიკაშვილი“, 1943 წ.); პროფესორმა ერმალო ბურჭულაძემ (ყირიმის ომი და საქართველო“, 1960 წ.); ისტორიის მეცნიერებათა დოქტორმა შამშე მგერელიძემ („საქართველო აღმოსავლეთის ომებში“, 1974 წ.)

ჩოლოქის საარაკო ბრძოლის შესწავლას დიდი ღვაწლი დასდო პროფესორმა იური სიხარულიძემ. მან საყურადღებო ჩვენებები შეკრიბა არა მარტო ჩოლოქის მარცხენა მხარის სოფლებში (გალმა ქაქუთი, სეურა, ჩიხედენა, ჯიხანჯური, წყავროკა და სხვა), არამედ მდინარის მარჯვენა მხარის სოფლებშიც (გამოღმა ქაქუთი, ჭანიეთი, ვაშტალი, ნარუჯა, ანასეული და ა.შ.). მანვე პირველმა მიაქცია ყურადღება ჭანიეთის ერთ-ერთი გორის სახელს („მუხარადი“) და ეს მხედრული საჭურველის აღმნიშვნელი ტერმინი, ჩოლოქის 1854 წლის ბრძოლისდროინდელად მიჩინა.

„ბრძოლის ბედი – წერს ი. სიხარულიძე, თუმცა ჩოლოქის გაღმა მხარეს გადაწყდა, მაგრამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა იმ მედგარ ბრძოლას, რაც ოსმალო ჯარების მოწინავე ნაწილებს „გურიის რაზმმა“ შეახვედრა ჭანიეთის მიდამოებში“ (ი. სიხარულიძე, „ყირიმის ომის დროის გადმოცემები“, 1950წ.). ამ ომზე საინტერესო სტატია დაიბეჭდა გაზეთ „ლენინის დროში“ სათაურით „ექნესა მოგონებანი“. წერილის ავტორი გახლდათ დამსახურებული ჟურნალისტი მამია კილაძე. ავტორი სამართლიანად აყენებს წინადადებას, ძველი აუგონ ჩოლოქის ომის გმირებს ჭანიეთში – ჩოლოქისპირს.

ოსმალოური საფრთხე ჭანიეთსა და შუა გურიის სოფლებს (გამოღმა ქაქუთი, ვაშტალი, ნიბაური და სხვა) მამინ დაუდგა, როდესაც მტრის ჯარის 34 ათასიანი სელიმ-ფაშას საუკეთესო მებრძოლებით დაკომპლექტებული კორპუსი მდინარე ჩოლოქს მოადგა. ამ დროს ახალციხე-გურიის რაზმის უფროსად დანიშნული იყო გენერალ-ლეიტენანტი ივანე ანდრონიკაშვილი, რომელიც მამინვე გამოემგზავრა ოზურგეთში. მან გადაწყვიტა დაეტოვებინა ოზურგეთი და ოსმალები ქვეყნის შიგნით შეეტყუებინა. მართლაც, მან რიონისკენ დაიხია და მდინარის ორივე მხარეს, აკეთის სიმაღლეებთან გამაგრდა. ანდრონიკაშვილს 10 000 კორპუსი ჰყავდა, რომელსაც გურიის მილიცია ედგა მხარში.

სელიმ-ფაშა ერთხანს ვერ ბედავდა ოსმალ-საქართველოს მამინდელი საზღვრის ზოლის-ჩოლოქის გადმოლახვას და საქრისტიანო გურიის აოხრებას. მაგრამ ანდრონიკაშვილის გადაწყვეტილებით გათამამებული, გადმოლახა საზღვარი და ოზურგეთში დაბანაკ-

და. პირველი სოფელი, რომელსაც მტრის რისხვა დაატყდა თავს, გამოღმა ქაქუთი და ჭანიეთი გახლდათ – ჩოლოქის მარჯვენა სანაპირო. ხალხმა იარაღი აიღო ხელში და ახლო-მახლო ტყეებში გავარდნენ.

ოსმალებმა მოსახლეობის აწიოკებას და მარცვა-გლეჯას მიჰყვეს ხელი. მათ ლაშქარში ინგლისელებიც იყვნენ, რომლებიც ხალხის გადაბირებას ცდილობდნენ, „მაგრამ გურულმა მოსახლეობამ მალაქია გურიელის მეთაურობით, რომლის რაზმი დღითიღაც იზრდებოდა, თურქების წინააღმდეგ ნამდვილი პარტიზანული ბრძოლა გააჩაღა, და მტერს მნიშვნელოვანი ზიანი მიყენა“ („საქართველოს ისტორიის ნარკვევები“, გამ. „საბჭოთა საქართველო“, 1970 წ. გვ. 203). ცხადია ამ პარტიზანული მოძრაობის მონაწილენი ჭანიეთ-ქაქუთისა და ახლო-მახლო სოფლების მცხოვრებნიც იყვნენ. მალე ოსმალთა 12 ათასიანმა რაზმმა სუფსა გადალახა და ლანჩხუთსაც გასცდა. რაზმი ძირითადად მოხალისეთაგან („ბაში-ბუზუკები“) შედგებოდა. რომელსაც პასან-ბეი თავდგირიძე მოუძღოდა. 1854 წლის 27 მაისს, ადრე დღით, მტრის ამ დანაყოფს უცაბედად თავს დაესხა რუს-ქართველთა ჯარის ერთი ნაწილი, რომელსაც პოდპოლკოვნიკი ნიკოლოზ ერისთავი მეთაურობდა.

ოსმალები ინგლისური იარაღით იყვნენ შეიარაღებულნი. ქართველთა ლაშქარი კაჟიანი თოფებით. ცხადია ვერას გახდებოდნენ, ამიტომ ერისთავმა ჯარი ხელჩართულ ბრძოლაზე გადაიყვანა და გაიმარჯვა კიდეც. ამ ბრძოლაში დაიღუპა ქობულეთელი ხასან-ფაშა (თავდგირიძე), რომელმაც აუწყრელი ზიანი მიყენა გურიის ქრისტიანულ მოსახლეობას. ამის შემდეგ ანდრონიკაშვილის ლაშქარი ოზურგეთისკენ დაიძრა. შემიწებელი სელიმ-ფაშა ჩოლოქს გაღმა გადავიდა და გაღმა ქაქუთის ტერიტორიაზე დაბანაკდა. ამ დროისათვის ანდრონიკაშვილის განკარგულებაში იყო 11 ბატალიონი.

ქვეითი კაზაკთა ოთხი ასეული, გურიის ექვსი ქვეითი და იმერეთის მილიციის ექვსი ქვეითი რაზმი, ხუთი ცხენოსანი ასეული, რომლის უფროსი იყო მამაციბოთი განთქმული გიორგი ჯანდიერი. ხოლო ერთ-ერთ ასეულს ხელმძღვანელობდა სოლომონ I თანამედროვე ქაიხოსრო მიქელაძე, რომელიც ამ ომში გმირულად დაიღუპა.

ცხენოსანთა ლაშქარში იყო სიდნაღლები, თელაველები, თბილისელები, გორელები, ოსები, თუშები და ფშავლები, აგრეთვე აღმოსავლეთ საქართველოს უძველესი გვარების თავადაზნაურთა წარმომადგენლები გიორგი ერისთავის ხელმძღვანელობით.

ანდრონიკაშვილმა გადაწყვიტა „სწრაფი და გაბეული“ იერიში მიეტანა მტერზე. 1854 წლის 4 ივნისს, გურიის რაზმმა პირველმა გადალახა ჩოლოქი და მტერს შეებრძოლა. ბრძოლის ავანგარდში იყო გურიის მილიცია მაჭავარიანის და თავდგირიძის მეთაურობით.

მალე ბრძოლაში კავალერიაც ჩაება და მრავალრიცხოვანი მტერი დამარცხებული და განდევნილი იქნა. „სელიმ-ფაშას ჯარების გზაბნეული ნაშთებიც ლეღვას იქით გადაიკარგნენ.“ ჩოლოქის პლაცდარშიან ბრწყინვალე გამარჯვების გამო, კავკასიის არმიის მთავარსარდლის სახელზე გაგზავნილ წერილში გენერალ-ლეიტენანტი თავადი ანდრონიკაშვილი წერდა: „ქართლ-კახეთის, იმერეთის და გურიის მხედრები, ქვეითი და ცხენოსნები, რუს ჯარისკაცთა მწყობრის ღირსეული თანამოლაშქრენი იყვნენ. ისინი მოწინააღმდეგისთვის დიდ საფრთხეს წარმოადგენდნენ, არა მარტო მტრის უკან დახევის დროს, არამედ, თვით, გამარჯვების მოპოვებამდე“ (ერ. ბურჭულაძე, „ყირიმის ომი და საქართველო“, გვ. 28).

„ოსმალთ ფეხდაფეხ მისდევდნენ გამარჯვებით აღფრთოვანებული ანდრონიკაშვილის არწივები და ყოველმხრივ აღმატებულ მტერს (რიცხოობრივად, შეიარაღებითაც) სძლიეს, რომლის ბადალი არც ისე ხშირია მსოფლიო ომების ისტორიაში“ (ი. სიხარულიძე).

სულიძო ლომჯარია,

სოფ. ჭანიეთი.

გახსენება ბოჩა ცაგარეიშვილი

მონატრების ორი ტკივილიანი წელი გავიდა ჩვენი საყვარელი გოჩა. უშენობამ თითქოს ყველაფერი გააუფერულა. გული ჩაგვწყვიტა, ცრემლი დაგვადინა, მაგრამ, ისევ შენმა დიდმა სიყვარულმა გამოგვაფხიზლა.

შენ ხომ ყველას ეიმედებოდი, ულაღატო, სპეტაკი ადამიანი იყავი. შენი თვალებიდან მხოლოდ სიკეთის სხივი გამოდიოდა, შენ საქმეზე, მეგობრებზე, ოჯახზე უზომოდ შეყვარებულს, სიკეთის კეთება და სხვისი დახმარება სიამოვნებას განიჭებდა.

პირნათელი ადამიანი იყავი და ასეთად დარჩები ყველა იმ ადამიანის გულში, ვინც გიცნობდა და ვისთანაც, თუნდაც ერთხელ გქონია ურთიერთობა.

ტკბილ მოგონებებს, ყოველთვის თან სდევს ნაღველი, სევდა და წმინდა ცრემლი, რომელიც ჩვენი მუდმივი თანამგზავრი გახდა.



წლები ვერ გააუფერულეს შენს ხსოვნას, იგი კიდევ უფრო გაძლიერდა, რამეთუ დიდი სიყვარული არასოდეს არ ქრება უკვალოდ.

კურთხეულ ჰყოს უფალმა საშუალო სასუფეველი შენი ჩვენი საყვარელი გოჩა.

ოჯახი

გურიის ვლევანდელი ჩემპიონი ჩოსტაურელია

ძალიან დაძაბულად მიმდინარეობდა გურიის XVI ჩემპიონატი ჭადრაკში, რომელსაც პირველად მასპინძლობდა ჩოსტაურის გურიის ამ კოლონიალური რაიონის სასახლეოდ უნდა ითქვას, მათ ყველაფერი გააკეთეს იმისათვის, რომ მხარის მოჭადრაკეთა



23/11/2011 13:52

ყველაზე დიდი შეჯიბრი კარგად ჩატარებულიყო. ჩოსტაურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ერთ კვირას მასპინძლობდა გურიის 12 საუკეთესო მოჭადრაკეს.

აქამდე, გურიის საჭადრაკო მართონში ლანჩხუთელთა ჰეგემონია იყო. 15 ჩემპიონატში, ერთხელ გაიმარჯვა ჩოსტაურელმა ოსტატმა ამირან ბერძენიშვილმა, ასევე თითოჯერ ოზურგეთელმა თორნიკე ხვედელიძემ, მინდია ჩხიკვიშვილმა. დანარჩენში—ლანჩხუთელებმა გაიმარჯვეს. ამის ერთ-ერთი მიზეზი, ისიცაა, რომ ამირან ბერძენიშვილი, ოზურგეთელი წარმატებული მოჭადრაკეთა უმეტესობა, სამსახურებრივი თუ სხვა მდგომარეობის გამო ვერ ერთვებიან ჩემპიონატებში. ასევე დასაფასებელია ლანჩხუთელთა მონღომეზაც. ამ პატარა ქალაქში ჭადრაკის განვითარებას დიდი ყურადღება ეთმობა.

გურიის ვლევანდელი ჩემპიონი კი ჩოსტაურელი გივი ქორიძე გახდა. მან წარმატებით ითამაშა და 9,5 ქულით I ადგილი დაიკავა.

ოზურგეთელი ელგუჯა ურუშაძე ფეხდაფეხ მისდევდა გამარჯვებულს და საბოლოოდ 9 ქულით II ადგილი დაიკავა. III ადგილზე ასევე 9 ქულით ნუგზარ გვარჯალაძე გავიდა. მას ურუშაძემ კოეფიციენტის მაჩვენებლით აჯობა. 8 ქულით IV ლანჩხუთელი ადამ ხუსუნაიშვილი იყო, ხოლო 7

ქულით V ადგილზე ჩოსტაურის მუნიციპალიტეტის სოფ. კონხარის საექიმო უბნის გამგე ზეინაბ ხვედელიძე გავიდა. ქალბატონი ზეინაბი წლების მანძილზე წარმატებით გამოდიოდა როგორც რესპუბლიკურ, ისე საკავშირო გათამაშებებში. შემდეგ დიდი ხნით ჩამოშორდა ჭადრაკს. თითქმის 20 წლის შემდეგ ასეთ ტურნირზე მისი გამოსვლა წარმატებული გამოდგა. ვფიქრობთ, მისი სახით გურიას კიდევ ერთი ნიჭიერი მოჭადრაკე შეემატა, რომლისგანაც უფრო მაღალი შედეგებია მოსალოდნელი.

მოეწყო ჩემპიონატის საზეიმო დახურვა. ჩოსტაურის მუნიციპალიტეტის გამგებელმა, ქალბატონმა ლელა იმედაშვილმა გურიის 2012 წლის ჩემპიონს და პრიზორებს გამაჯვება მიულოცა. ასევე გამარჯვებულებს მისელები საქართველოს პარლამენტის წევრები კორნელი კუკულავა და გოჩა შანიძე (გურიის ჭადრაკის ფედერაციის პრეზიდენტი), გურიის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორი ზურაბ ანდლუაძე. ჩოსტაურის მუნიციპალიტეტისაგან ჩემპიონს 200, ხოლო პრიზორებს შესაბამისად 150 და 100 ლარი ფულადი ჯილდო გადაეცათ. გურიის ჭადრაკის ფედერაციამ მათ ასევე შესაბამისი დიპლომები და პრიზები გადასცა.